



№5 (785) 9 ივლისი, 2018

გამოდის 1995 წლიდან

ფასი: 70 თეთრი

მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ქუთაისის ბიზნესსექტორს ახალი საგადასახადო შეღავათები გააცნო

დაბეგვრის ახალი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შესახებ ქუთაისის ბიზნესსექტორთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, ნინო ჩიქოვანი, ფინანსთა მინისტრი ნიკოლოზ გაგუა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ჩერქეზიშვილი უძღვებოდნენ.

როგორც ნიკოლოზ გაგუამ განაცხადა „მნიშვნელოვანია ასეთი კომუნიკაციები, უფრო დეტალურად გავიგებთ ბიზნესის საჭიროებების შესახებ. მოგხსენებთ, მცირე და საშუალო ბიზნესი არის ჩვენი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი, ჩვენ გვაინტერესებს, რა პრობლემები აწუხებს ბიზნესს. ჩვენ მზად ვართ, პრობლემებს უფრო ახლოს ვიკნობდეთ, რათა უფრო ეფექტური ქმედებები გავაყუთოთ.“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი ჩერქეზიშვილი შეკრებილ საზოგადოებას ახალ საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის უპირატესობებზე ესაუბრა. „როგორც იცით, პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ჩვენთვის ეს გახლავთ პრიორიტეტი. გარდა საგადასახადო ნაწილისა, ეკონომიკის სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის ურთიდაული პირები, მათ შორის - აწარმოებენ საქართველოში, სხვადასხვა ტიპის პროგრამებს ვახორციელებთ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან.“



ნან, გვაქვს ძალიან ბევრი როგორც არსებული, ისე - წარმატებული პროექტები. ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი შეხვედრის ფარგლებში ზუსტად ის ბენეფიციარები იმყოფებიან, რომლებთანაც ვიმსჯლებთ რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს იმისათვის, რომ განვითარდეს აღნიშნული პროგრამა.“ - განაცხადა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 500 000 ლარამდე.

ნაცვლად მანამდე არსებული 100 000 ლარისა. მცირე ბიზნესის დასახეგრი შემოსავალი იბეგრება 1:-ანი განაკვეთით, ნაცვლად 5:-სა. ახალი საგადასახადო რეჟიმი უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭვირვალობას, რაც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს, უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსს.

დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მნიშვნელოვანი სტიმულია მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის.

ლიკა კაპუშაძე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ბაღდათისა და ხარაგაულის იმ ჩინოვნიკთა სიას აქვეყნებს, რომლებმაც დეკლარაციაში ქონება დამალეს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ განაგრძობს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შესწავლას. ამჯერად წარმოგიდგინთ ინფორმაციას ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების იმ თანამდებობის პირების შესახებ, რომლებმაც 2017-2018 წლებში არასრულად შეავსეს დეკლარაციები, კერძოდ, არ ასახეს ინფორმაცია საკუთარი ან/და ოჯახის წევრთა კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ და ასევე, ეწევიან თანამდებობისთან შეუთავსებელ საქმიანობას.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი
კახა ენუქიძე - მერის პირველი მოადგილე — კახა ენუქიძეს 2018 წელს შევსებულ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ იგი არის შპს „კაბ გრუპის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე და ამავე კომპანიის დირექტორიც, რაც წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევას, რომლის თანახმად, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება იყოს სამეწარმეო დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე კახა ენუქიძემ დაარღვია ამავე კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნა, რადგან მის საკუთრებაში არსებული კომპანიის წილი სამართავად სხვა პირს არ გადასცა.

ფირფხ ბურჯანაძე - მერის მოადგილე — მან 2018 წელს შევსებულ დეკლარაციაში არ მითითა, რომ ის არის შპს „ჯორჯია სეთ კომპანი 2-ის“ 15%-იანი წილის მესაკუთრე, მას ასევე არ მითითებია, რომ „ჯორჯიან სენდ კომპანიში“ 50%-იანი წილის მფლობელია. ფირფხ ბურჯანაძეს წილის მართვის უფლება სხვა პირისთვის არ გადაუცია, რაც საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევაა, რომლის თანახმად, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება იყოს სამეწარმეო დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე კახა ენუქიძემ დაარღვია ამავე კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნა, რადგან მის საკუთრებაში არსებული კომპანიის წილი სამართავად სხვა პირს არ გადასცა.

ში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევაა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, შპს „ჯორჯიან სენდ კომპანიში“ 2018 წლის 2 თებერვალს 1600 ლარის ოდენობის გამარტივებული ხელშეკრულება გააფორმა ა(ა)იპ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრთან“, რომლის შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ქვიშის მიწოდება.

შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე — მის მიერ 2018 წელს შევსებულ დეკლარაციაში მითითებულია, რომ იგი არის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მაშუკა მდინარაძე, გიორგი გელაშვილი, შალვა მშვილდაძის“ კომპანიაში 10%-იანი წილის მფლობელი, თუმცა მშვილდაძე ამავე დროს აღნიშნული მეწარმე სუბიექტის დირექტორიცაა, რითაც არღვევს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება იყოს სამეწარმეო დაწესებულების ხელმძღვანელი, ამასთან,

კვლევის ფარგლებში ორგანიზაციამ თანამდებობის პირთა 50-მდე ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლა. შედეგად ბაღდათის მუნიციპალიტეტში დეკლარაციის არასრულად შევსების 4, ხოლო ხარაგაულში - 1 ფაქტი გამოვლინდა; ბაღდათის მუნიციპალიტეტში თანამდებობისთან შეუთავსებელი საქმიანობის 2 შემთხვევა აღმოჩნდა.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა კიდევ ერთი დარღვევა, რომელიც ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს სამსახურის გავლის ვადით სამართავად სხვას გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილები. ბაღდათში საწარმოში არსებული წილები სამართავად არ გადაუცია 4, ხოლო ხარაგაულში - 1 თანამდებობის პირს, - აცხადებენ ორგანიზაციამ.

კანონდამრღვევი ჩინოვნიკების სია ასე გამოიყურება:

შალვა მშვილდაძე სპს-ში ფლობს არა 10%-იან, არამედ 15%-ს წილს და ამავე დროს, მას აღნიშნული წილი სამართავად სხვა პირისთვის არ გადაუცია, რაც ასევე წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის დარღვევას.

გაბრიელ ლიბრაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე — მან 2018 წელს შევსებულ დეკლარაციაში არ მითითა, რომ არის შემდეგი მიწის ნაკვეთების თანამესაკუთრე:
 • ბაღდათის მუნიციპალიტეტი; სოფელი წითელხევი; 4003.0 კვ.მ.
 • ბაღდათის მუნიციპალიტეტი; სოფელი ვარციხე; 1183.0 კვ.მ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

PS news.ge
 ISSN 1987-7056
 9 771 987 7050 4

ადგილობრივ დონეზე ბენდიკოვილი მინისტრების დანერგვა პოლიტიკის მარტივი მაგალითი

აღნიშნული სტატია წარმოადგენს იაგლონიის უნივერსიტეტის, სოციოლოგიური ინსტიტუტის დოქტორის, კატარინა ზელინსკას ანალიტიკური ნაშრომის მოკლე მიმოხილვას, რომელიც დაიწერა პროექტის - „ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და დემოკრატიული მმართველობისათვის“ ფარგლებში, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს, ვიშეგრადის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული მინისტრების ხელშეწყობად და გენდერული პოლიტიკის დასაწესებლად პრაქტიკული რეკომენდაციების გამოქვეყნებას.

პოლონეთში გენდერული მინისტრების მიმართულებით აქტიური მუშაობის დაწყება ფაქტობრივად ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამ განაპირობა, როდესაც კანდიდატ ქვეყნებს მოეთხოვრებოდათ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა გენდერული თანასწორობის სამართლებრივი და ინსტიტუტური მექანიზმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. 90-იანი წლების პოლონეთის ევროპული სტანდარტებისკენ სწრაფვამ და ქალთა აქტივისტების გააქტიურებამ, შეარყია ქალის მიმართ საკმაოდ ტრადიციული და პატრიარქალური დამოკიდებულება საზოგადოებაში. ქალი იმ დროისთვის, ძირითადად, ორ დომინანტურ პარადიგმაში აღიქმებოდა: პირველი - ოჯახისა და სახლის მზრუნველი და თავდასწორებული დედის ხატი და მეორე - სექსუალიზებული სხეული და სილამაზის სიმბოლო. სამოქალაქო საზოგადოების და ქალთა ორგანიზაციების განვითარების და აქტიური მუშაობის შედეგად გაფართოვდა ქალებზე ორიენტირებული პოლიტიკის ლობირება, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ყოველმხრივი და არსებითი წარმომადგენლობის გაზრდისთვის ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის გენდერული ნორმების დამკვიდრებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა, საბოლოოდ, აქტივიზმს მოჰყვა ახალი სტრატეგიების შემუშავება და გენდერული თანასწორობის განვითარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების შექმნა.

2001 წ. ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნათა საპასუხოდ შეიქმნა მთავრობის სრულყოფილი წარმომადგენლის აპარატი ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საკითხში, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორი სტატუსის უზრუნველსაყოფად მთავრობის პოლიტიკის შემუშავება, საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა და ამ პროცესის მონიტორინგი. თუმცა „აპარატის“ მთავრობის სტრუქტურულ

ნაწილად არსებობა მას ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ძალების იდეოლოგიური ორიენტაციის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ აქცევდა, რაც მისი ძირითადი ნაკლოვანება იყო. ამის ნათელი ილუსტრაციაა თუნდაც ის, რომ 2015 წელს ხელისუფლებაში კონსერვატიული მემარჯვენე ძალების მოსვლით, რომელთათვის გენდერული თანასწორობის საკითხები არაპრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა, მოხდა აპარატის სახელის გადარქმევა - „სრულყოფილი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებისა და თანასწორობის საკითხებში“, რითაც ამოცანა - გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, გაქრა პოლიტიკური პრიორიტეტების დღისწესრიგიდან.

ევროკავშირში გაწევრიანებამ განაპირობა ასევე ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გენდერული თანასწორობის ევროპულ კანონმდებლობასთან. შედეგად, მიღებულ იქნა კანონი „თანასწორი მოპყრობის მიმართულებით ევროკავშირის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესახებ“ (2010 წ.), თუმცა, მისი საბოლოო ვერსია მთავარი კრიტიკის საგნად იქცა. ახალი კანონის მოქმედების სფერო მხოლოდ ეკონომიკას და შრომის ბაზარს მოიცავდა და არ ვრცელდებოდა სოციალურ მომსახურებებზე, განმარტების და ცვალებად განათლებასზე. გარდა ამისა, კანონი გენდერულ უთანასწორობას აერთიანებს სხვა სახის დისკრიმინაციასთან და უმცირესობების საკითხებთან, რამაც გენდერული თანასწორობის კომპონენტის მნიშვნელობის გაუფასურება და მარგინალიზაცია მოახდინა. კანონის თანახმად, სახალხო დამცველს დაევალია თანასწორი მოპყრობის მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი, თუმცა მას არ მოჰყოლია ამ ფუნქციისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფა, რაც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხის არაპრიორიტეტულობის მოწმობადაა, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად ზღუდავდა საქმის

ეროვნად შესრულებაში.

ადგილობრივ დონეზე, ევროკავშირის მხრიდან, გენდერული მინისტრების განხორციელების აუცილებლობას ასახავს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ პრინციპების დანერგვის მოთხოვნა. ქარტია განსაზღვრავს ძირითად ნაბიჯებს და სფეროებს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. ქარტიას ხელმოწერით ადგილობრივი ხელისუფლება იღებს „თანასწორობის პრინციპის ერთგულების“ და ამ მიმართულებით კონკრეტული პოლიტიკის გატარების ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სრულყოფილი წარმომადგენლის აპარატის მიერ განხორციელდა პროექტი ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებში თანასწორი მოპყრობის პრინციპის დანერგვის მიზნით, რაც მოიცავდა ტრენინგების და სემინარების ციკლს ადგილობრივი ჩინოვნიკებისთვის, მომზადდა სახელმძღვანელო თანასწორი მოპყრობის თემაზე საჯარო მმართველობაში, შეიქმნა სრულყოფილი წარმომადგენლების ქსელი ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, პრაქტიკაში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და დამკვიდრების ხარისხი პოლონეთში საკმაოდ არასახარბიელოა.

სამოქალაქო საზოგადოების ინციატივებიდან, გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობად საინტერესო პროექტი განახორციელა ფონდმა „Feinioteka“-მ 2010-2013 წლებში, რომლის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ თანასწორობის (მათ შორის გენდერული თანასწორობის) პოლიტიკის გასატარებლად განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი. კვლევამ ცხადყო, რომ ადგილობრივ დონეზე ამ მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევა საკმაოდ უმნიშვნელოა. მაგალითად, 2010 წელს 88 ადგილობრივი თვითმმართველობიდან მხოლოდ 12-მა განახორციელა გარკვეული აქტივობა თანასწორობის დამკვიდრების მიმართულებით. ყოველი სამი თვითმმართველობიდან, მხოლოდ ერთში არსებობდა თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირი. თვითმმართველობების მხოლოდ 22%-ს ჰქონდა ჩატარებული ტრენინგი თანასწორობის თემატიკაზე. თუმცა, გამოვლინდა ადგილობრივ ხელისუფლებებსა და დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი - 58%. კვლევის შედეგად, ადგილობრივ დონეზე (გენდერული) თანასწორობის რეალიზების გზაზე გამოიკვეთა სამი ძირითადი

დაბრკოლება: პირველი - ჩინოვნიკთა არაინფორმირებულობა და თანასწორობის საკითხების ცოდნის დაბალი ხარისხი; მეორე - თანასწორი მოპყრობის პოლიტიკის მომზადებისა და განხორციელებისათვის არასაკმარისი სახსრები და მესამე - თანასწორობის საკითხებზე მუშაობისათვის ადამიანური რესურსების სიმწირე. კვლევებით გამოვლენილი ნაკლოვანებების დაძლევის და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ფონდმა „Feinioteka“-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებისათვის, რომელშიც მოყვანილია თანასწორობის საკითხებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება და სანიმუშო მაგალითები. სახელმძღვანელოს ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივი ჩინოვნიკებისთვის პრაქტიკული დანერგვის გაწევა თანასწორობის პოლიტიკის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში. სახელმძღვანელო სამ ძირითად მიმართულებას შეიცავს: 1. თანასწორობის სტანდარტი 2. თანასწორობის ინდექსი და 3. ტრენინგებისა და სემინარების პროგრამა. სახელმძღვანელოში მოცემულია 10 ძირითადი სტანდარტი, რომელიც გენდერული თანასწორობის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ესენია:

1. თანასწორობის პოლიტიკა, ანუ თანასწორობის პრინციპის ინტეგრირება ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა აქტივობაში;
2. ცოდნა და კომპეტენცია - ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალი ინფორმირებულობა თანასწორობის პოლიტიკისა და დისკრიმინაციის პრევენციის მნიშვნელობის შესახებ;
3. ინსტიტუტური მოწყობა - თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ადამიანთა ჯგუფის არსებობა ადგილობრივ ხელისუფლებაში;
4. დაგეგმვა - პირთა ჯგუფის გამოვლენა, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ დისკრიმინაციას, მათი მდგომარეობის მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა დისკრიმინაციის პრევენციისთვის;
5. ინსტრუმენტები - თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
6. კონსულტაციების გაწევა და ჩართულობა - ადგილობრივი ხელისუფლების მუდმივი კონტაქტი მოსახლეობასთან, განსაკუთრებით მათთან, ვინც განიცდის დისკრიმინაციას, ან დისკრიმინაციის პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. მათი ინფორმირებულობა და აზრის გაზიარება ადგილობრივ დონეზე განხორციელებული ან განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ;

ნობის შესახებ;

7. განათლება და ინფორმირებულობა - დისკრიმინაციის პრევენციის მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან აქტიური საგანმანათლებლო და ინფორმაციული კამპანიების წარმართვა;
8. ბიუჯეტი - თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად ფინანსური რესურსების გამოყოფა ადგილობრივ ბიუჯეტში;
9. მონიტორინგი - ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თანასწორობის პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგის განხორციელება;
10. შეფასება - ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების და მისი ზეგავლენის შეფასება.

თანასწორობის ზემოთ მოყვანილი სტანდარტები იდეალური მოდელია ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის გამოცდილება საინტერესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოსთვის, რომელიც ცხადყოფს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები შეიძლება მხოლოდ ღამიზ ფასად დადარჩეს და არ მოიტანოს აუცილებელი ცვლილებები გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით. დღეს საქართველო იმყოფება რეფორმების და ცვლილებების ძალიან საინტერესო და საკვანძო ეტაპზე. იმისთვის, რომ გენდერული თანასწორობის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები არ დარჩეს დეკლარირების დონეზე და მოხდეს არსებული სტრატეგიების და ინსტიტუტური მექანიზმების პრაქტიკაში ეფექტიანი და ქმედითი დანერგვა, ხელისუფლების მხრიდან დეკლარირებულ პოლიტიკურ ნებას უნდა დაერთოს პრაქტიკული მოქმედებები, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ სახელისუფლებო წრეებში ცნობიერების ამაღლების, ამ თემაზე მუშაობისთვის ადამიანური რესურსების გამოყოფის და მომზადების, შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების მობილიზების და განაწილების და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობის გზით.

ეკატერინე გამახარია, ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელი ექსპერტი ქალთა უფლებების საკითხებში



საინფორმაციო ტური წყალტუბო-ქუთაისის დევილთა დასახლებაში

იმერეთის რეგიონში მომუშავე მედიის წარმომადგენლებისთვის მედიტატიური მოეწყო, რომლის მიზანს ქუთაისის რეგიონისთვის დევილთა დასახლების პარკის დასახლების და გამოწვევების გაცნობა წარმოადგენდა.



მედიის წარმომადგენლები ქუთაისში, ლესელიძის სამ ნომერში მცხოვრებთა საცხოვრებელ პირობებს გაეცნენ. მათ დიდ პრობლემას ავარიული შენობა უქმნით, საუბარია ყოფილი ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შენობაზე, რომელიც ინგრევა და საშიშროებას წარმოადგენს.

რელია კედლები, პირველ სართულზე დგება წყალი, ამ ეტაპზე აქ შენობის დევილთა ქირით არიან გაყვანილი. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, აქვე სამხარაულის დასაცნა და გეოლოგიური კვლევებიც.

საინფორმაციო ტური საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“- ის ორგანიზებით მოეწყო, პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია“-ს ფარგლებში. როგორც პროექტის „ადვოკატირებისა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ზვიგანა ვაშაყაძე აცხადებს, „ჩვენ შევისწავლეთ ადგილობრივების პრობლემები და ვცდილობთ, რომ ადვოკატირების კამპანია წარმართოთ, რათა ეს პრობლემები მოგვარდეს, ცენტრი „აფხაზეთი“ აქტიურადაა ჩართული თვითმართვლობით კომუნიკაციაში, მოგვამზადებთ რეკომენდაციებს, სადა რა არის გასაკეთებელი და მიეწოდებათ მუნიციპალიტეტებს.“

აქ მცხოვრები დევილთა სურვილია, რომ აღნიშნული შენობის ადგილზე სპორტდარბაზი გაკეთდეს. როგორც ერთ-ერთი მცხოვრებელი, ცილა გაბუნია ამბობს: „ინგრევა შენობა, ბავშვები არიან ეზოში, შემოდიან, თამაშობენ, გვეწვინია, თავზე არ დაეყაროთ ეს შენობა, ვითხოვთ, ყურადღება მოგვაქციონ“. აღნიშნულ სახლში ჩასახლებულ დევილთა, ასევე კანალიზაციის პრობლემაც აქვე, მაგრამ რადგან შენობა პირად საკუთრებაში აქვთ, შესაბამის სამსახურში მიმართვისას განუმარტეს, რომ თავად მოუწვეთ ამ პრობლემის მოგვარება.

რაც შეეხება წყალტუბოში ახალ დასახლებაში მცხოვრებ დევილთა მთავარ პრობლემას ბინების შეფუთვა წარმოადგენს. აქ მცხოვრები ენთაზი ბენიძის თქმით: „2012წელს აშენდა ეს ბინები, ხარვეზებით არის აშენებული, არ აქვს ბინას საწრები არხები, არასწორად არის გაკეთებული საკედლე მასალები, ზაფხულში არის გაუსაძლისი სიცხე, ზამთარში სიცივე, გინდ გარეთ ყოფილხარ, გინდ შიგნით. სხვაგან ანალოგიურად აშენებული იყო ბინები და ყველგან შეფუთეს, მარტო ჩვენ დავრჩით, ათი კორპუსი.“

ლიკა კაკუშაძე

იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორებმა განსახორციელებელ ინტერრეგიონალურ ტურისტულ პროექტებთან დაკავშირებით შეხვედრა გამართეს

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, გრიგოლ დალაქიშვილმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა, ლევან შონიამ ორ რეგიონს შორის ახალ ტურისტულ მარშრუტებზე და განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაო შეხვედრა მარტვილში გამართეს.

შეხვედრაზე ხონისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში ერთობლივად განსახორციელებელ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას. ინტერმუნიციპალური და

ინტერრეგიონალური ტურისტული პროექტების განხორციელება საშუალებას იძლევა ვიზიტორებმა ბევრი საინტერესო და ახალი ლოკაცია დაათვალიერონ. პროექტის განხორციელების შემდეგ ერთ რეგიონში ჩასული ტურისტი მეორე რეგიონ-

საც დაუკავშირდება. ტურისტები, რომლებიც პრომეთის მღვიმეს, გორდის საზაფხულო რეზიდენციას და ოკაცეს კანიონს სტუმრობენ, პროექტის განხორციელების შემდეგ უნდა შევიდნენ მარტვილის და მიმდებარე მუნიციპალიტეტების ტურისტულ ობიექტებზე, ასევე პირიქით. ამისთვის საჭირო აქნება ერთობლივი ინფრასტრუქტურის მოწყობა ასევე, ერთიანი ტურისტული რუკების შექმნა, მარშრუტების განსაზღვრა, მარკირება, გიდების და მასშველების გადამზადება.

პროექტების შესამუშავებლად, სამუშაო ჯგუფი ინტენსიურ რეჟიმში იმუშავებს. ჯგუფში სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციებთან და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად გეოგრაფები, სპელეოლოგები და დარგის სპეციალისტები შედიან.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ხონის, მესტიის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, მერაბის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები.



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბაღდათისა და ხარაგაულის იმ ჩინოვნიკთა სიას აქვეყნებს, რომლებმაც დეკლარაციაში ქონება დამალეს

პირველი გვერდიდან

გაბრიელ ლიბრაძეს დეკლარაციაში ასევე არ აქვს მითითებული, რომ მისი შვილი ირაკლი ლიბრაძე არის შპს „დი.ეი.ჯი. ქონსალინგის“ დირექტორი და 33-იანი წილის მფლობელი.

ზაზა ზივზივაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარის მოადგილე — ზაზა ზივზივაძემ დეკლარაციაში მიუთითა, რომ ის არის შპს „ფერსათი - 1914-ის“ 100-იანი წილის მფლობელი. თუმცა, მას წილის მართვის უფლება სხვა პირისთვის არ გადაუცია, რაც საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევაა.

მურად ბურჯანაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე — მან 2018 წელს შეესებულ დეკლარაციაში არ მიუთითა, რომ იგი არის შემდეგი მიწის ნაკვეთების თანამესაკუთრე:

- ბაღდათის რაიონი, სოფელი პირველი ოზხა; 4498.0 კვმ
- ბაღდათის რაიონი, სოფელი პირველი ოზხა; 701.0 კვმ
- ბაღდათის რაიონი, სოფელი პირველი ოზხა; 2800.0 კვმ

მაია კბილაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე — მას დეკლარაციაში არ მიუთითებია, რომ თანასაკუთრებაში აქვს შემდეგი მიწის ნაკვეთები:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სო-

ფელი დიმი 2000 კვ.მ.
• ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიმი; 2100 კვ.მ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — მან 2018 წლის შეესებულ დეკლარაციაში არ მიუთითა, რომ არის შპს საზაფხულო დასასვენებელი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი „კლდეკარის“ 50-იანი წილის მფლობელი. ამასთან, მას წილის მართვის უფლება სხვა პირისთვის არ გადაუცია, რაც საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევაა. გარდა ამისა, რუსუდან გიორგაძეს დეკლარაციაში არ აღსახავს, რომ მისი მეუღლე, ბესარიონ ჭიჭინაძე, არის შპს „დ გრუპის“ დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი.

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი, „ნათქვამია“ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“-ს განცხადებაში.

შეხვედრა საბრანტო დაფინანსებაზე

ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა რეგიონული შეხვედრა იმერეთის - სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებაზე გადასვლის შესახებ. კონფერენციის მიზანი იყო, იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების კონკრეტული ძირითად საკითხებზე და საგრანტო დაფინანსების რეფორმით გათვალისწინებულ ძირითად მიმართულებებზე.

სახელმწიფო საგრანტო პროცესის საკანონმდებლო სტანდარტების დადგენა; სახელმწიფო საგრანტო სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა და უწყებათაშორისი გრანტების გაცემის შესაძლებლობის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება; სახელმწიფო გრანტის თემატური სფეროების გაფართოება; სახალხო დამცველისთვის უფლებდაცვით სფეროში გრანტის გაცემის მინიჭება. ღონისძიების ორგანიზატორი იყო: „ადგილობრივი დემოკრატის სააგენტო საქართველო“ (LDA Georgia), ხოლო კვლევის წარდგენა განხორციელდა „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“ სი-ეს-აი (CSI).



გული თუ გაქვს, უნდა გეტიკინოს შუბი პირების სატკიპარიც...

ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ნარჩემაშვილის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა შუბი პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია „სრულფასოვანი ცხოვრებისათვის“ წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო შუბი პირების პრობლემების მოგვარება, რომელთა აღმოფხვრაშიც მაჟორიტარი უშუალოდ ჩაერთვება.

რელი მთლიანობისათვის მებრძოლებს. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს ვეტერანების, რომელთა შორისაც შუბი პირებიც არიან, წვლილის დაფასებას და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას.

კანონპროექტი შემოღდომას შევაძალაში „შუბი პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია“ სრულფასოვანი ცხოვრებისათვის“ თავმჯდომარემ მერაბ ჭვარიანმა დააყენა სოციალური საწარმოს დაარსების აუცილებლობა, რომელიც ითვალის-

წინებს ქალაქის პარკების წარმოებას. აღნიშნული საკითხი მოაგვარებს შუბი პირების დასაქმების და ქალაქის ეკოლოგიურ პრობლემებს. კობა ნარჩემაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა უშუალოდ ჩაერთოს შუბი პირების პრობლემების მოგვარებაში, რადგან „თუ გული გაქვს უნდა გეტკინოს შუბი პირების სატკიპარიც“ განაცხადა დეპუტატმა.

კობა ნარჩემაშვილმა ყურადღება გაამახვილა კანონპროექტზე, რომელიც ეხება საქართველის ტერიტორი-

ათუნა ჩუაბაძე



საქიანური შეთავაზება კვლავ კვლავს სოჯახო სასტუმროსგან „LUTREZI/ლუტრეზი“ ახალდაბაში



სოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი“ მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უნიკალურ საკურორტო ზონაში, ბორჯომის ხეობის დაბა ახალდაბაში, ზღვის დონიდან 790 მეტრზე, სადაც ყველა პირობა შექმნილი საუკეთესო დასვენებისა და გართობისთვის.

ახალდაბა წიწვოვან და ფართოფოთლოვან ტყეებთან ერთად, მდიდარი თერმული მინერალური წყლებით, რაც ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბავშვებისთვის, ისე - უფროსებისთვის.

მდინარე მტკვრის შენაკად, ნემფურას ხეობაში განლაგებულია თერმული მინერალური წყლების წყაროები (ბურღილები), რომელთა ტემპერატურაა + 32,5 გრადუსიდან +44,8 გრადუსამდე. მინერალური წყალი გამოიყენება აბაზანების სახით და საუკეთესოა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პროფილაქტიკური თუ დაავადების სამკურნალოდ. ახალდაბა ულამაზესი წლის ყველა დროს - ზამთარ-ზაფხულს და აქ სტუმრობა ყველა სეზონზე შეუძლებელია.

ტრანსპორტი ახალდაბამდე - სოჯახო სასტუმრომდე „LUTREZI/ლუტრეზი“

თბილისიდან ახალდაბამდე, დაახლოებით 1 საათი და 30 წუთი სჭირდება მიკროავტობუსით მგზავრობას. თითქმის ანალოგიური დროა საჭირო ქუთაისიდან ახალდაბამდეც. ხოლო ახალდაბიდან ბორჯომში სამგზავროდ - 15 წუთი საკმარისია. სოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი“ ახალდაბის ცენტრში, რუსთაველის შესახვევი #19-ში, ე.წ. სკოლის უბანში მდებარეობს და ადგილზე სასიამოვნო, მყუდრო და თბილი ოჯახური გარემოა შექმნილი: დიდი ულამაზესი ეზო, ჰამაკებით, ფანჯარებით და ბავშვების გასართობი ადგილით, უფასო "პარკინგი" და ინტერნეტი.

სასტუმრო სახლის მეორე სართული ხისგანაა აგებული და აქ განთავსებულია შუშბანდი, ერთი სტანდარტული 2-ადგილიანი და ორი

4-ადგილიანი კეთილმოწყობილი ნომერი, რომელთაც აქვთ ერთი საერთო სველი წერტილი დერეფანში. ნომრებში არის კონდიციონერები, ტანსაცმლის საკიდი ან კარადა.

პირველ სართულზე განლაგებულია სამზარეულო, შესაბამისი ავეჯ-ტურქულით და სასადილო ოთახი, სადაც დამსვენებლებს თავად შეუძლიათ, მოამზადონ კერძები.

გარდა ამისა, სოჯახო სასტუმროს ეზოშია თანამედროვე ერთსართულიანი 5 ადგილიანი კოტეჯი, აპარტამენტის სტილში, თავისივე სველი წერტილითა და სამზარეულოს მოწყობილობით - გაზი, მაცივარი, სამზარეულოს ონკანი.

სოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი“ -ს ერთდროულად მინიმუმ 14-15 სტუმრის მიღების საშუალება აქვს. შესაძლებელია, ასევე, დამატებითი საწოლის გაშლა.

სოჯახო სასტუმროს ქუჩაზე მდებარეობს მრავალპროფილური მარკეტი, სადაც ფასები ბაზრის ფასების შესაბამისია და კომფორტულია ყოველდღიური მომარტებისთვის.

სასტუმრო სახლთან ძალიან ახლოსაა ნაძენარი, პარკი, საბავშვო ატრაქციონებით, ასევე - თერმული აბანოები, სადაც ხელმისაწვდომი ფასებია ბანაობისა თუ აბაზანების მიღებისათვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვების გართობისა თუ ფიზიკური აქტივობებისათვის აქტუალურია სასტუმროს მახლობლად მდებარე სტადიონის, სკოლის ეზოსა და საჭიდაო მოედნის გამოყენებაც. სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი“, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, რამდენიმე ათეულ მეტრშია ცენტრალურ მაგისტრალთან, საიდანაც ნებისმიერი მიმართულებით მარტივია ტრანსპორტირება.

ახალდაბიდან 15 წუთი სჭირდება ბორჯომში ასვლას, ხოლო 10 წუთი - ხაშურამდე მგზავრობას. სასტუმროს მახლობლად არის როგორც რკინიგზის სადგური, ასევე, ყოველ

ნომრების დასაჯავშნად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599 10 77 94; 577 247711; ნატო გუბელაძე (სასტუმროს მფლობელი და მენეჯერი)

ელექტრონული ფოსტა: lutrezi2010@gmail.com; nato2727@gmail.com

ფეისბუქგვერდი: https://www.facebook.com/GuestHouseLutrezi/

იპოვეთ საუკეთესო და მშვიდი გარემო თქვენი სოჯახო დასვენებისთვის ახალდაბაში!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სოჯახო სასტუმროში „LUTREZI/ლუტრეზი“!

ერთ საათში მოძრაობს მიკროავტობუსი. (მგზავრობა ბორჯომამდე 80 თეთრია)

სოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი“, სურვილის შემთხვევაში, დამატებითი სერვისის სახით გთავაზობთ ასევე, ახლომდებარე კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, პიკნიკს მდინარე ნემფურას ხეობაში, თევზაობას, კვადროციკლით თუ ცხენებით გასეირნებას, ადგილობრივი, ტრადიციული კულინარიის მას-ტერკლასებს, ღვინის დეგუსტაციებს და საინტერესო თავგადასავლებს ბუნებაში!

ჩვენი სტუმრები როგორც უცხოეთიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა

კუთხიდან, ყოველთვის აღფრთოვანებულნი რჩებიან ახალდაბის ბუნებით და „LUTREZI/ლუტრეზი“-ს მასპინძლობითა და სტუმართმოყვარეობით!

ჩვენს სასტუმროში არსებული კომფორტი და მომსახურება ბევრად მეტი ღირებულებისაა, რისი გადახდაც მომხმარებელს უწევს. შესაბამისად მომსახურების ფასები ხელსაყრელი და მისაღებია დამსვენებელთათვის. ჩვენი ეს შეთავაზება კი სპეციალურად პედაგოგებისთვისაა და გარკვეული ფასდაკლებაც უკვე გათვალისწინებულია ფასში: ერთი პერსონის დამსვენებისა და მომსახურების ღირებულებაა 20 ლარი, კვების გარეშე. (დამატებითი

ხარჯი არ არის საჭირო სასტუმროს საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას, როგორცაა, მაგ: სარეცხი მანქანა, უთო,ფენი ან სხვა.)

ბავშვები სამ წლამდე, რომელთათვისაც დამატებითი საწოლის გაშლა არ არის საჭირო - უფასოა...

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასტუმროში არსებული ნომრების ფასები ასეთია:

ორადგილიანი ნომერი მეორე სართულზე (რომელშიც დგას ორსაწოლიანი ტახტი) - 40ლარი;

• **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) - 80ლარი;**

• **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) - 80ლარი;**

შენიშვნა:

12 კაციანი ჯგუფის შემთხვევაში, მეორე სართულზე არსებულ შუშბანდში შესაძლებელია ასევე დამატებითი საწოლის გაშლა ორი პერსონისთვის, რომელიც შეგვიძლია უფასოდ შემოგთავაზოთ, სპეციალურად თქვენი პედაგოგებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ანუ მეორე სართულზე 12 ადამიანის განთავსების ჯამური ღირებულება იქნება იგივე, რაც 10 კაცის ღირებულებაა რეალურად - 200 ლარი ღირს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ერთ ადამიანს მოუწევს 17 ლარი ღირს.

• **აპარტამენტის სტილის 5 ადგილიანი კოტეჯი, (რომელშიც დგას ერთი ორსაწოლიანი ტახტი, ერთი ორსართულიანი საწოლი და ერთი გასაშლელი დივანი) თავისივე სველი წერტილით და სტუდო-სამზარეულოთი - ღირს 100ლარი ღირს.**

შენიშვნა:

• **ეს სპეციალური შეთავაზების ფასები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამსვენებელი მინიმუმ 7 დღით რჩება სოჯახო სასტუმროში.**